„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი • №19-20 (9513-9514) • 1-31 ოქტომბერი • ფასი 1 ლარი

გილოცავთ

4 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყების მაცნედ აწკრიალდა ზარები. ამავე დღეს ყველა ბაღმა და ბაგა-ბაღმა დაიწყო ფუნქციონირება. ახალგაზრდების ჟივილ-ხივილმა სიცოცხლით აავსო სასწავლო დაწესებულებები. ნუ მოგვიშალოს ეს ხმა, ეს სიხარული ღმერთმა.

ვულოცავთ, ჩვენი სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს, სკოლამდელი აღზრდის კერების მუშაკებს, , მათ აღსაზრდელებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

მასწავლებლებო და მოსწავლეებო, ცოდნის გაცემისა და შეძენის გზაზე არასოდეს გეგრძნოთ დაღლა.

პირველკლასელები

„გამარჯობა თქვენ ახლად მომავალნო! მე, უკვე მიმავალი გეთხოვებით და ვსწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა მარტო ხვეწნა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლო... თქვენი ერი როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება... მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს. უამისოდ ყოველივე შრომა ამაოა... (აკაკი წერეთელი)

ნიტა მურღულია _ სენაკის №3 საჯარო სკოლა

ნინი გრიგოლია -ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა

სანდრო ჯაბურია -ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა

ნოდიკო ვართაგავა - სენაკის №1 საჯარო სკოლა

თამუნა შამათავა - ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა

მართა კუჭავა - სენაკის №1 საჯარო სკოლა

ელენე ხახუბია - ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა

მარიამ გვალია – სკოლა ლიცეუმი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ოთხწლიანი ანგარიშის პრეზენტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატულ თეატრში, საზოგადოების წინაშე ოთხწლიანი - 2018-2021 წლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ -საგანმანათლებლო პროექტების ანგარიშით წარდგა.

პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი შალვა სარდალიშვილი, სენაკის საპატიო მოქალაქეები, მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრები, მერიის, საკრებულოს, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების, შპს-ების წარმომადგენლები და გრანტის მფლობელი ახალგაზრდები ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა მიმოიხილა მისი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოსვლიდან დღემდე განხორციელებული უპრეცედენტო რაოდენობის და მნიშვნელობის პროექტები, რაშიც მაქსიმალური ძალისხმევა ჩაიდო. მისი თქმით, მიღწეული წარმატებები გუნდის თითოეული წევრის მაღალი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომის შედეგია.

მერმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა სამედიცინო სექტორის ყველა წარმომადგენლის მიმართ, რომლებიც, საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდანვე, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან.

პრეზენტაციის ბოლოს, მან მადლობის სიგელები გადასცა მერიის სამსახურების და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების წარმომადგენლებს - მინდა გულითადი მადლიერება გამოვხატო თქვენი დაუღალავი საქმიანობისთვის, იმ დიდ საერთო საქმეში, რასაც მშობლიური სენაკის და ზოგადად, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში სასიკეთო წვლილის შეტანა ჰქვია. მჯერა, სიყვარულით და ერთობით საქმის კეთების ტრადიცია, მომავალშიც გაგრძელდება და განვითარდება - აღნიშნა ლევან კუპრეიშვილმა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მერმა დამსახურებულ სენაკელებს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება მიულოცა და შესაბამისი სიგელები და მედლები გადასცა.

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცხრა გამორჩეულ სენაკელს „სენაკის საპატიო მოქალაქის" სიგელები გადასცა.

მერის სათათბირო ორგანოში - მრჩეველთა საბჭოში შესული კორესპონდენციების საფუძველზე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ექიმ-პედიატრს დარეჯან კოკაიას - მედიცინის სფეროში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

წარმატებულ ექიმს მარინე გელანტიას - მედიცინის სფეროში ხანგრძლივი, გამორჩეული მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

ღვაწლმოსილ ქალბატონს ლირა ჯღარკავას - საგანმანათლებლო სფეროში ნაყოფიერი, შემოქმედებითი, ხანგრძლივი მოღვაწეობისა და თაობების ღირსეულად აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორ ნელი ხორავას - ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ენერგოინფორმაციული მედიცინის ექსპერტს, საქართველოში ჰომეოპათიური მკურნალობის ერთ-ერთ დამფუძნებელს თამაზ ფირცხელავას - მედიცინის სფეროში ხანგრძლივი, წარმატებული, გამორჩეული მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

სენაკის კოლორიტს, ღირსეულ ქალაქელს, „საუკეთესო პოლიციელის" ტიტულის მფლობელს ზურაბ ჭანტურიას - ხანგრძლივი, წარმატებული, ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

წარმატებულ მშენებელს და ქველმოქმედს იოსებ გადელიას - ნაყოფიერი, გამორჩეული პროფესიული მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

ღირსეულ სენაკელს გრიგოლ მიქაიას - ნაყოფიერი, წარმატებული მოღვაწეობისა და მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის;

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „სუხიშვილების" ოქროს თაობის მოცეკვავეს მელსი გრიგოლიას - საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი მოღვაწეობისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

გმირების ქალაქში - 27 სექტემბერი

სოხუმის დაცემის 28 წლისთავთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მისაგებად, საქართველოს პარლამენტის წევრებმა – თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ და გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ, სახელმწიფო რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიორგი გუგუჩიამ, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ ნინო ვიბლიანმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა კობა კობალაძემ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმა და რიგითმა სენაკელებმა გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირების ჟიული შარტავას, გენო ადამიას, გურამ გაბისკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი აღავლინა.

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია – ეს არის სოხუმის დაცემის უმძიმესი დღე, ამასთან დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნის, მშობლიური სენაკის გამორჩეულმა შვილმა ჟიული შარტავამ, თავის თანამებრძოლებთან ერთად, თავი დადო სამშობლოსთვის და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

სოხუმს დაცემის დღესთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშა დაეშვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე, ასევე საქართველოს სახელმწიფო დროშები დაეშვა.

განახლებული საჯარო სკოლა და ახალი ბაგა-ბაღი

სენაკის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის სექტორში, ახალი სასწავლო წელი საკლასო ოთახებში განახლდა.

ზემო ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი სკოლა გაიხსნა; სენაკში, შხეფის უბანში კი - ახალი ბაგა-ბაღი.

პედაგოგებს, მოსწავლეებს და პატარა აღსაზრდელებს ახალი სკოლის და ბაღის გახსნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მიულოცა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 300 მოსწავლეზე გათვლილი, სათანადო ინვენტარით, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებით და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

სენაკში, ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული N5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე, 60 აღსაზრდელზე გათვლილი, სააღმზრდელო დაწესებულება აშენდა. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

2018-2021 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 22 პროექტი; ცენტრალური გათბობის სისტემით 8 საჯარო სკოლა აღიჭურვა; ინტერნეტიზირებულია ყველა სკოლა; 10 წლის შემდეგ, სასწავლო პროცესი განახლდა სენაკის მესამე საჯარო სკოლის მეორე კორპუსში, სასწავლო პროცესი აღდგა კოტიანეთის საუკუნოვან საჯარო სკოლაში.

2018-2021 წლებში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 4 ახალი საბავშვო ბაღი; ქალაქად და სოფლად რეაბილიტირდა, კეთილმოეწყო, განახლდა და ახალი ინვენტარით აღიჭურვა 27-ვე საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი.

დასრულების ფაზაშია 100 აღსაზრდელზე გათვლილი N4 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ლტოლვილთა დანიის საბჭოსა (DRC) და საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობით ხორციელდება.

ასევე უახლოეს პერიოდში დაიწყება წლის უანალოგო პროექტის, მესამე საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

ფულადი ჯილდოები გადაეცათ

19 სენაკელ კურსდამთავრებულს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე 100 და 70%-იანი გრანტები მოიპოვეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან ერთად უმასპინძლა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოები გადასცა.

2021 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტი ნინო კირცხალიამ, მარიამ გოგიამ, ნიტა ვერულავამ, გიორგი ჩავლეიშვილმა, ნინო სალაყაიამ, სერგი თათარიშვილმა და ანი გოგიამ მოიპოვეს; 70%-იანი გრანტი კი – 13-მა კურსდამთავრებულმა.

„შევხვდი ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და მშობლიური ქალაქი ასახელეს. 100%-იანი გრანტის მფლობელ კურსდამთავრებულებს 500, 70%-იანი გრანტის მფლობელებს კი - 300 ლარი გადავეცით.

ჩვენი მთავარი ღირებულებები სწორედ განათლებაზეა დაფუძნებული. განათლებული თაობა ქვეყნის მომავლის ფუნდამენტია.

ახლა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი იწყება.

ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, პროფესიული სრულყოფის გზაზე, მათ წარმატებებს ვუსურვებთ.

მჯერა, მათი მიღწევებით არაერთხელ ვიამაყებთ და ისინი, წლების შემდეგ, მშობლიური ქალაქის განვითარებაში თავიანთ წვლილს შეიტანენ" – აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების პროექტების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ამჯერად, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოტიანეთში, რეაბილიტირდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, ღირებულებით – 220000 ლარი. სამუშაოები შპს „ინდიკომ" განახორციელა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის 2018-2021 წლების ანგარიში

2021 წელი, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებებისა, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის, უპრეცენდენტო რაოდენობის უმნიშვნელოვანესი პროექტების დაწყების და განხორციელების წელია.

ურთულეს გამოწვევებთან გამკლავება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურიზმის განვითარების კუთხით მასშტაბური პროექტების გაგრძელება, ახლის წამოწყება, განხორციელება და სამომავლოდ დაგეგმვა, რაშიც მაქსიმალური ძალისხმევა ჩავდევით, მიმდინარე წელსაც ჩვენი საქმიანობის წარმმართველი მიზანი იყო.

ეს მისია ახლაც წარმატებით შევასრულეთ, რაც ჩვენი გუნდის თითოეული წევრის მაღალი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი შრომის შედეგია.

მინდა ასევე, განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიო სამედიცინო სექტორის ყველა წარმომადგენელი, რომლებიც საქართველოში, კორონავირუსის პირველი შემთხვევის დაფიქსირებიდანვე, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, თითოეული მოქალაქის სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან, რომ საზოგადოება და ქვეყანა ვირაგი ვირუსისგან დაიცვან.

ჩვენი საქმიანობა, ახალი რეალობის შესაბამისად, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პარალელურად, ეკონომიკური გაჯანსაღების, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სეგმენტის წინსვლისკენ იყო მიმართული.

უალტერნატივოა ჩვენი ხელისუფლების აღმშენებლური, ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე, გრანდიოზული პროექტების განხორციელებაზე ორიენტირებული, ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკა ჩვენი უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.

ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ბოლო ოთხი წლის მანძილზე, ჩვენი საქმიანობა მიმართული იყო საზოგადოებასთან მუდმივი კავშირისკენ, მისგან წამოსული ინიციატივებით ხელმძღვანელობისა და მათ საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებისკენ, არსებულ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის შესაძლებობებზე მოქალაქეებთან ღია დიალოგისკენ. ეს მიმართულება, რომელსაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლება დღეს წარმატებულად ახორციელებს, მჯერა, სამომავლოდ კიდევ უფრო განვითარდება და გაფართოვდება.

წარმოგიდგენთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს 2021 წლის დასაწყისიდან დღემდე და ზოგადად, ბოლო 4 წლის მანძილზე, თუ რა გაკეთდა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით და შემდგომი განვითარების რა პერსპექტივები შევქმენით:

ბიუჯეტი და ფინანსები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 12 014 100 ლარით;

სენაკის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 19 327 500 ლარი (ფაქტიურად, რვა თვეში შემოვიდა 11 804 300 ლარი, ანუ - 64,3%)

მათ შორის:

გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 10 982 200 ლარით (რვა თვეში ფაქტურად შემოვიდა 7 020 800 ლარი, ანუ - 63,9%).

გრანტების გეგმა განისაზღვრა 6 856 500 ლარით (რვა თვეში ფაქტურად შემოვიდა 3 730 900 ლარი, ანუ - 54,4%), აქედან:

•მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ფაქტურად შემოვიდა - 486 800 ლარი;

•კაპიტალური ტრანსფერი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) - 6 369 700 ლარი;

სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1 288 800 ლარით (რვა თვეში ფაქტურად შემოვიდა 950 700 ლარი, ანუ - 73,8%),

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია)გეგმა განისაზღვრა 200 000 ლარით (რვთა თვეში ფაქტურად შემოვიდა 101 900 ლარი, ანუ - 50,9%),

ამასთან, წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთი (მიიმართა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად) 1 772 500 ლარი (მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 1 400 900 ლარი, სხვა დონის ბიუჯეტებიდან მიღებული ტრანსფერი - 371 600 ლარი).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით 2021 წლის რვა თვეში დაფინანსდა:

•ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 4 912 900 ლარით;

•დასუფთავება და გარემოს დაცვა 438 800 ლარით;

•კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 1 101 100 ლარით;

•განათლება- 1 320 400 ლარით;

•მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 744 400 ლარით;

•მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 1 936 300 ლარით.

•თავდაცვა - 49 200 ლარით.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები რვა თვეში 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაიზარდა 626 800 ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა

ჯანდაცვამ და მოსახლეობისადმი სოციალურმა მხარდაჭერამ, ბოლო ორი წლის მანძილზე, კორონავირუსის მძვინვარების ხანაში, მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ახალი რეალობის შექმნასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ვირუსთან საყოველთაო ბრძოლის პირობებში, ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახდა. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის პროგრამები ითვალისწინებს სოციალური რისკების პრევენციასა და კრიზისზე დროულ რეაგირებას;

მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერების მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას;

კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებული ნაწილის კვებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობას, ოჯახური ძალადობის მსხვეპლთა დაცვას, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საამშენებლო მასალებით დახმარებას და დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას.

აღნიშნული პროგრამები მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

•2021 წელს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამებზე დაგეგმილია 1 281 780 ლარი. ამ ეტაპისათვის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 811 986 ლარი.

•ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით ისარგებლა 42 276-მა მოქალაქემ. მათ შორის - სახელმწიფო მიზნობრივი ტრანსფერის-დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში - 40 255-მა მოქალაქემ, ხოლო-მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის 16 პროგრამის ფარგლებში მომსახურება მიიღო 2 021-მა მოქალაქემ. •2021 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილია 16 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურიუზრუნველყოფის პროგრამა.

•მიმდინარე წელს ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 623 მოქალაქისათვის შესაძლებელი გახდა სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შემდგომი გაფართოება, რაზეც დაიხარჯა 203 780 ლარი.

•მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 323-მა სოციალურად დაუცველმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ისარგებლა უფასო მედიკამენტებით. ხარჯმა შეადგინა 32 948 ლარი.

•მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უფასო კვებაზე დაიხარჯება 238 000 ლარი. კვების პროგრამაში ჩართულია და ყოველდღიურ უფასო სადილს იღებს 200 სოციალურად დაუცველი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახი.

•მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების, ოჯახში ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად მრავალშვილიან (4 და 4-ზე მეტი შვილი) ოჯახებზე განხორციელდა ყოველთვიური ფინანსური დახმარება 80 000 ლარის ფარგლებში. ამ ეტაპისათვის, პროგრამაში ჩართულია 87 მრავალშვილიანი ოჯახი.

•მუნიციპალიტეტში „ბავშვის უფლებათა კოდექსი" საქართველოს კანონის შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, შექმნილია ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს ბავშვისა და ოჯახის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებას.

• დონორი ორგანიზაციებისა და მერიის თანადაფინანსებით, მიმდინარე წელს დაიწყო პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე", შეიქმნა მულტიდისციპლინარული მობილური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მარტოხელა ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას - მათთვის შინ მოვლის სერვისის მიწოდებით; მიმდინარე წელს მერიამ, თანადაფინანსების სახით 19 347 ლარი გამოყო. მომავალი წლიდან პროექტის განხორციელებას მუნიციპალიტეტი სრულად უზრუნველყოფს.

•ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ასოციაციასთან „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ერთად, წლების განმავლობაში ამერიკული ჰუმანიტარული დონორი ორგანიზაციის LDS Chazities თანამონაწილეობით ახორციელებს შშმ პირთათვის ეტლების უსასყიდლოდ გადაცემის პროგრამას. პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 82 შშმ პირს უსასყიდლოდ გადაეცა ეტლი.

კორონავირუსის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ეტაპები

მეორე წელია, მსოფლიო კოვიდ 19-ის პანდემიას ებრძვის. ქვეყანაში კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებისთანავე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დირექტორები შედიან.

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა.

შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც მერიისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული (ა)იპ-ების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

მოხალისეები, საჭიროების მიხედვით, უზრუნველყოფენ: ბენეფიციარებისთვის უფასო სასადილოდან საკვები პროდუქტები შინმიტანას; საბავშვო და ბაგა-ბაღებში პროდუქტების დარიგების პროცესში მონაწილეობას; ბანკებში, კვების ობიექტებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დისტანციის დაცვას და სხვა საჭირო ღონისძიებებს.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა: სადეზინფექციო ხსნარით მოირეცხა ქალაქის ქუჩები, მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღში; კერძო საბავშვო ბაღებში; ზოგადსაგანმანათლებლო სექტორის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში; ყველა ადმინისტრაციულ შენობაში; მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში; ტაძრებში; თეატრის შენობაში; სავაჭრო ობიექტებში; მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრში.

დეზინფიცირდა „საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში" მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩართული 45 ავტოსატრანსპორტო საშუალება. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სხვა შენობა-ნაგებობების დეზინფექციისთვის 5 016 ლარი დაიხარჯა;

-დეზობარიერის შეძენა დაფინანსდა - 800 ლარით; -სადეზინფექციო ხსნარის შეძენა 2020-2021 წლებში, დღეის მდგომარეობით - 1 720 ლარით; -სამედიცინო პირბადეების შეძენა 2020 წელს - 1 432 ლარით, მიმდინარე წელს, დღემდე - 1 236 ლარით; -ფარმაცევტული პროდუქტების შეძენა - 480 ლარით; -ორონავირუსით გარდაცვლილი სენაკის მცხოვრებლებისათვის გარდაცვლილი მოქალაქისთვის ჩანთის შეძენა -900 ლარით; -დისპენსერის შესყიდვა -750 ლარით; -მოწყვლადი და რისკ ჯგუფში მყოფი ბენეფიციარებისათვის სასურსათო პროდუქტის შეძენა - 15 908,9 ლარის.

COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, არამალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც არდადეგების დროს საბავშვო და ბაგა-ბაღებში უნდა გამოყენებულიყო, სენაკის მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღის 1 307 აღსაზრდელს 7 ეტაპად დაურიგდა;

სულ ბავშვებზე გაიცა 286 479,56 ლარის საკვები პროდუქტი.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობას შესაბამის მომსახურებას ყოველდღიურ რეჟიმში უწევს.

კორონავირუსის პანდემიასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან რისკ ჯგუფში მყოფი ბენეფიციარების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისთვის, გასულ წელს - 25 600 ლარი დაიხარჯა;

ბიზნესის, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის მერიამ საკვები, ჰიგიენური საშუალებები და ტანსაცმელი 900 ოჯახს გადასცა.

დახმარება გაეწია 1500 ოჯახს;

მათ შორის: მარტოხელა ხანდაზმულებს; შშმ პირებს; მრავალშვილიან ოჯახებს; მარტოხელა დედებს; განსაკუთრებული საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

მზრუნველობამოკლებულთა კვების 225 ბენეფიციარს კვების პროდუქტები გატანით მიეწოდება.

კვების ცენტრის 70 წელს გადაცილებულ ბენეფიციარებს მოხალისეები, ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, დღიურ ულუფას საცხოვრებელ სახლებში აწვდიდნენ.

პანდემიით შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, მუნიციპალიტეტის მერიამ, ამ ეტაპზე, ასევე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ 120 სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახსა და მარტოხელა ხანდაზმულზე სასურსათო პროდუქტების გაცემა განახორციელა.

სენაკის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის დასაძლევად, მასობრივი ვაქცინაციის პროცესი, რომელიც პანდემიის დამარცხების, საკუთარი და ირგვლივ მყოფების ეპიდემიის-

(გაგრძელება გვ 4)

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის 2018-2021 წლების ანგარიში

(გაგრძელება)

გან დაცვის ერთადერთი ეფექტური და უალტერნატივო გზაა, მიმდინარე წლის 15 მარტს დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს.

ქალაქის სამედიცინო ცენტრების გარდა, ვაქცინაცია მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიაში არის შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობა, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით, ადგილზე რეგისტრაციის საფუძველზე იცრება. ისინი ვაქცინაციის ადგილამდე მისასვლელად, უფასო ტრანსპორტირებით არიან უზრუნველყოფილნი.

15 სექტემბრის მონაცემებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით - 6 059 მოქალაქეს ჩაუტარდა ვაქცინაცია. მათ შორის:

•„ასტრა-ზენეკათი" - 100 მოქალაქეს;

•„სინოფარმით" – 3 926 მოქალაქეს;

•„სინოვაკით" – 1 667 მოქალაქეს;

•„ფაიზერით" – 1 356 მოქალაქეს.

მუნიციპალიტეტში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და დაინფიცირების რისკების თავიდან აცილების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სათანადოდ აღჭურვილი მსუბუქი კონსტრუქციის კონტეინერის ტიპის ჯიხური გადასცა, რაც მოსახლეობას დამატებით უქმნის შესაძლებლობას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიმდებარედ, იზოლირებულად ჩაიტაროს პისიარ და სწრაფი ანტიგენით ტესტირება.

პანდემიასთან ბრძოლის პირობებში შეუფერხებლად გრძელდება მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის კუთხით მომსახურების გაწევა; ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ინფრასტრუქტურა:

2021 წელს, 8 თვის მანძილზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 19 799 635 ლარი შეადგინა;

მათ შორის:

გზების რეაბილიტაციამ ქალაქად და სოფლად - 4 098 872 ლარი;

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საწულეისკირიოში შიდა სახელმწიფოებრივი გზის სავალი ნაწილიდან წყლის აცილების სამუშაოებმა - 270 00 ლარი; მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციამ - 274 709 ლარი; სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრულმა რეაბილიტაციამ - 10 000 000 ლარი; 5 მინი სტადიონის რეაბილიტაციამ - 211 664 ლარი; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების რეაბილიტაციამ - 70 773 ლარი; სენაკის სამშობიარო სახლისა და მიმდებარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციამ - 38 064 ლარი; მე-5 ბაგა-ბაღის მშენებლობამ - 710 000 ლარი; სამელიორაციო და დაშრობითმა პროექტებმა - 262 320 ლარი; გაზიფიცირებამ და გაზსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოებმა - 3 636 571 ლარი; მენჯი-სახარბედიოს გზის გასწვრივ LED ნათურებისა და ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, თერმულ წყლებთან ჩასასვლელ გზაზე ელ. განათების მოწყობამ - 118 499 ლარი; გარე-განათების ქსელის მოწყობამ - 79 124 ლარი; სანიაღვრე გაწმენდითმა სამუშაოებმა - 25 540 ლარი; საგზაო ნიშნების მოწყობამ - 3 499 ლარი;

აღნიშნულ პროექტებზე 535 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

აქვე მოგაწვდით, გასულ 2018-2020 წლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალსა და ღირებულებებს:

2018 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 17 411 293 ლარი

მათ შორის:

გზების რეაბილიტაციაზე - 3 309 412 ლარი; ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობაზე - 973 000 ლარი; სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციაზე - 703 000 ლარი; ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - 2 182 000 ლარი; გაზიფიცირების სამუშაოებზე - 7 873 881 ლარი; სენაკის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2 300 000 ლარი; სენაკის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზე 70 000 ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე 550 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 16 093809,7 ლარი

მათ შორის:

გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 5 475 266,96 ლარი; ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობაზე - 377 000 ლარი; ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებზე - 131 131 ლარი; მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციაზე - 288 645 ლარი; სტადიონების მოწყობაზე - 350 000 ლარი; სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციაზე - 1 410 000 ლარი; ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - 123 418 ლარი; გაზიფიცირების სამუშაოებზე - 556 225 ლარი; გარე-განათების ქსელის მოწყობასა და მოვლა-პატრონობაზე - 125 200 ლარი; გაზსადენი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებზე - 5 045 000 ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაზე 738 000 ლარი; მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე - 450 378,7 ლარი; სსიპ გადაუდებელი სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობაზე 250 000 ლარი; სტიქიის პრევენციის სამუშაოებზე - 420 000 ლარი; ადმინისტრაციულ ერთეულებში ამბულატორიების რეაბილიტაციაზე - 153 000 ლარი; სამელიორაციო და დაშრობით პროექტებზე - 200 545 ლარი.

აღნიშნულ პროექტებზე 580 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

2020 წელს, 9 თვის მანძილზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ 13 539 048 ლარი შეადგინა;

მათ შორის:

გზების რეაბილიტაცია - 7 224 216 ლარი; გარე-განათების ქსელის მოწყობა - 103 000 ლარი; სანიაღვრე არხებზე რკინა-ბეტონის ჯუბერების მოწყობის, ქალაქად მრავალსართულიანი ბინების და საზოგადოებრივი დანიშნულების კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია - 278 000 ლარი; სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 156 000 ლარი; ნაპირსამაგრი სამუშაოები - 2 604 000 ლარი; სამელიორაციო და დაშრობითი პროექტები - 588 083 ლარი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" - 738 000 ლარი; გაზიფიცირება - 83 000 ლარი; საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 579 000 ლარი; N5 ბაგა-ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა - 1 464 000 ლარი; მინი სპორტული მოედნების მოწყობა - 121 800 ლარი; სოფელ ბეთლემში ტურისტული სივრცის მოწყობა - 80 000 ლარი; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა - 249 249 ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები - 1 610 700 ლარი;

აღნიშნულ პროექტებზე 560 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

მიუხედავად პანდემიით შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებებისა, მიმდინარე წელსაც, სენაკის მუნიციპალიტეტში, უპრეცედენტო რაოდენობის საგზაო და სხვადასხვა მიმართულების ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

გზების მოწყობა ქალაქად

ქალაქად, ასფალტო-ბეტონის მოწყობის პროცესი დასრულებულია 24 ქუჩაზე, სამუშაოების ღირებულებამ - 1 420 503 ლარი შეადგინა.

სენაკში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა - ეს სახოკიას ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტია, განახლებული ინფრასტრუქტურით, რომლის ღირებულებამ 91 049 ლარი შეადგინა.

მისი სახით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სივრცე შეემატა.

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების პროექტის ფარგლებში, სენაკში, წლების შემდეგ, პირველად განხორციელდა დემეტრე თავდადებულის და სახოკიას ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 110 893 ლარს შეადგენს; აქედან, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მოწესრიგების სამუშაოებისთვის - 68 514 ლარი დაიხარჯა, ხოლო სახოკიას ქუჩის რეაბილიტაციისთვის - 42 379 ლარი.

ნატოჩაოს უბანში, განხორციელდა მშვიდობის ქუჩის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულებამ 276 893 ლარი შეადგინა.

სენაკში კიდევ ერთი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტი განხორციელდა - თამარის ქუჩა რეაბილიტირდა. პროექტის ღირებულებამ 350 370 ლარი შეადგინა.

ასფალტო-ბეტონის საფარი ასევე მოეწყო ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევში, შონიას, შამათავას ქუჩის ჩიხის, არსენას ქუჩის ორი ჩიხის, შელეგიას ქუჩასა და შხეფის უბანში;

საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი, ღირებულებით 40 334 ლარი, ასევე განხორციელდა ბელიაშვილის ქუჩაზე;

რეაბილიტირდა ნაფეტვარიძის ქუჩა. პროექტის ღირებულებამ 61 266 ლარი შეადგინა;

ასფალტობეტონის საფარი დაიგო კანკიას ქუჩის პირველ შესახვევში. პროექტის განსახორციელებლად 73 518 ლარი დაიხარჯა.

ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე - სამხატვრო გალერეადან აკაკი ხორავას ქუჩამდე მონაკვეთზე, ასევე, აკაკი ხორავას ქუჩაზე, განხორციელდა ასფალტო-ბეტონოს საფარის დაგება.

სამუშაოების ღირებულებამ 446 053 ლარი შეადინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ისეთ გზებს, რომლებსაც ათწლეულებია აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია. ეს ეხება როგორც მუნიციპალურ, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებს.

სენაკში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა ეს, ე.წ. საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტია, რომლის ღირებულება 222 221 ლარს შეადგენს. ასევე იქვე მოეწყო პარკინგი და LED სანათებით დამონტაჟდა გარეგანათება.

გზების რეაბილიტაციის პროცესი, მიმდინარე წლის ბოლომდე აქტიურად გაგრძელდება.

გზების რეაბილიტაცია სოფლად

მიმდინარე წელს, ასფალტო-ბეტონის საფარის რეაბილიტაცია განხორციელდა 6 ადმინისტრაციულ ერთეულში, რომლის საერთო ღირებულებამ - 2 678 369 ლარი შეადგინა. მათ შორის: ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულის სასირიოს უბანში - წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ - ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა; ძველი სენაკის საარჩაიოს უბანში - ასფალტირების სამუშაოები; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფლის ცენტრამდე, გზის ასფალტირების სამუშაოები; ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სასირიოს უბანში - რკინიგზის გასწვრივ, ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში - ცენტრის კეთილმოწყობა, გზის ორივე მხარეს ტროტუარის მოწყობა და საბავშვო ბაღამდე გზის ასფალტირება; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში - რკინიგზის გასწვრივ გზის ასფალტირება; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო სორტაში - ქვედა მხარის გზის რეაბილიტაცია; ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე ნოსირში - საბარკალაიოს უბნის გზის ასფალტირება; თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიისკენ მიმავალი გზის ასფალტირება; მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კოტიანეთში - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; ლეძაძამე-ფოცხოს დამაკავშირებელი გზის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ პატარა ზანაში მდ.ზანაზე არსებული ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის აღდგენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამი ათეული წლის შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს განხორციელდა. პროექტის ღირებულება 524 454 ლარს შეადგენს.

მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელ გზაზე განხორციელდა LED ნათურებით განათების ქსელის მოწყობა. პროექტის ღირებულება 156 818 ლარია.

ასევე განხორციელდა ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში „დედამოკა"-ს თერმულ წყლებთან ჩასასვლელი გზის ელ. განათება.

დასრულებულია თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულისა და მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიასკენ მიმავალი გზის ასფალტირების პირველი ეტაპი. პროექტის ღირებულება 383 413 ლარს შეადგენს; მათ შორის - 2021 წელს შესასრულებელი სამუშაოების - 356 642 ლარი, 2022 წლის - 26 771 ლარი;

ძველ სენაკში ასევე განხორციელდა ზემო სორტის უბნის ქვედა მხარის გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, ღირებულებით - 271 545 ლარი. მათ შორის - 2021 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა - 200 000 ლარი, 2022 წლის - 71 545 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბანში განხორციელდა საავტომობილო გზის ასფალტირების პირველი ეტაპი, ღირებულებით - 315 668 ლარი; მათ შორის - 2021 წელს შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებაა - 268 703 ლარი, 2022 წლის - 46 965 ლარი.

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. საწულეისკირიოში დასრულდა ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი გზის 79-ე კილომეტრზე გზის სავალი ნაწილიდან წყლის აცილების სამუშაოები, ღირებულებით 270 000 ლარი.

უახლოეს მომავალში, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება. პროექტის ღირებულება 894 000 ლარს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების პროექტების ფარგლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება ჯორჯაძის ქუჩის რეაბილიტაცია - რუსთაველის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე, სავარაუდო ღირებულებით - 94 650 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოტიანეთში - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სავარაუდო ღირებულებით - 197 712 ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის უშუალო ჩარევის შედეგად, მიმდინარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძეს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 287-290 კმ-ის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებაა 9 270 516 ლარი.

ამ ეტაპზე, ქალაქს შემდეგი განახლებული ქუჩები შეემატა:

ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების პროცესი დასრულდა კანკიას ქუჩის ჩიხში. სამუშაოების ღირებულებამ 20 309 ლარი შეადგინა.

ასევე რეაბილიტირდა შალვა დადიანის ქუჩა, ღირებულებით 84 865 ლარი.

დასრულებულია შენგელიას ქუჩის ასფალტირება - ჭავჭავაძის ქუჩიდან რკინიგზამდე. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 63 333 ლარი შეადგინა.

გარეფასადების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქში არსებული მრავალბინიანი კორპუსების ფასადებს რუსთაველის N126-ში, ჭავჭავაძის N37 საცხოვრებელ კორპუსსა და ტექნოჰაბთან მდებარე კორპუსის უკანა ფასადს, საერთო ღირებულებით 274 709 ლარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭავჭავაძის ქ.N91-ში, N74 და წმინდა ნინოს ქ.N1-ში არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოებს, ღირებულებით 79 773 ლარი. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, ქალაქის ინფრასტრუქტურა არამარტო ფუნქციური კუთხით, არამედ ესთეტიკის მხრივაც წესრიგდება. ამ მიმართულებით პროექტების განხორციელება სამომავლოდაც იგეგმება.

ასევე დაგეგმილია ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა მშვიდობის ქუჩაზე - მშენებარე ეკლესიასთან; მშვიდობის ქუჩაზე - მე-5 საჯარო სკოლიდან კოსტავას ქუჩამდე და ტექნო-ჰაბის წინ, წერეთლის ქუჩაზე - საერთო ღირებულებით - 114 998 ლარი.

გარე განათება

გარე განათების სისტემის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები სენაკში 2017 წლიდან მიმდინარეობს.

2021 წელს, გარეგანათების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე 79 124 ლარი დაიხარჯა.

მიმდინარე წელსაც, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობდა გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის, პარკებში, სკვერებში, ხიდებზე, ტრასებზე LED დიოდური სანათების დამონტაჟებისა და ჩართვის კვანძების ტექნიკურად გამართვის სამუშაოები. გარე განათების ახალი ქსელი მოეწყო და არსებული განახლდა ნაროუშვილის, ცერცვაძის, მშვიდობის, ჭავჭავაძის, ფურცელაძის, აკ. ელიავას, ჯიხას , ხოფერიას, ჩხეტიას, გოგებაშვილის, რუსთაველის, თავისუფლების, კანკიას, გუნიას, ქიაჩელის, ფიროსმანის და ტაბიძის ქუჩებზე, ასევე, ნოქალაქევის, მენჯის (ბათარიას უბანი) და ახლასოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საავადმყოფოების რეაბილიტაცია

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა შ.პ.ს. „სენაკის სამშობიარო სახლისა" და მის მიმდებარედ საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია საერთო ღირებულებით 38 064 ლარი.

მიმდინარეობს სამშობიარო სახლის გადახურვისა და ახალი სტანდარტების ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით 171 500 ლარი.

მომავალში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისათვის შესყიდულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 4 020 000 ლარს.

ქალაქის ცენტრალური პარკების რეაბილიტაცია

დაწყებულია და უწყვეტ რეჟიმში მინდინარეობს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული ქალაქის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია-მოწყობის პროცესი. პროექტს, რომლის ღირებულება 3 000 000 ლარს შეადგენს, შპს „დაგი" ახორციელებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის 2018-2021 წლების ანგარიში

(გაგრძელება)

სანიაღვრე და საწრეტი არხების გაწმენდითი სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო და არხების ამოწმენდის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სანიაღვრე არხები გაიწმინდა ჭყონდიდელის, ჭავჭავაძის, რუსთაველის, ვაჰანიას, ცაგარელის, ტაბიძის, დედის, პუშკინის, სამტრედიას, კოსტავას, აკ. ელიავას, ვაჩნაძის, თაყაიშვილის ქუჩებზე.

ექსკავატორით ამოიწმინდა სანიაღვრე არხები 3 320 გრძ. მ-ზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შემდეგ ლოკაციებზე - ტაბიძის, აკ. ელიავას ქუჩები, ნატოჩაოს უბანი, ახალსოფლის, მენჯის, ხორშის, ზანას, უშაფათის, ფოცხოს, ლეძაძამეს, მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულები. შესრულებულ სამუშაოებზე, მიმდინარე წელს, ჯამურად, 25 540 ლარი დაიხარჯა. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მოგვარდა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს იქმნებოდა; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო; თავიდან ავიცილეთ საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე, რაც, ამავდროულად, მუნიციპალიტეტის ფინანსურ რესურსებს დაზოგავს.

დაშრობითი და სამელიორაციო პროექტები

2021 წელს, მუნიციპალიტეტში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა დაშრობითი და სამელიორაციო პროექტების განხორციელება.

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამელიორაციო სამუშაოები, კოლექტორებისა და შემკრებების გაწმენდა 200 ჰა-ზე განხორციელდა. შესრულებულ სამუშაოებზე 80 000 ლარი დაიხარჯა;

ანალოგიური სამუშაოები, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, 76 ჰა-ზე ჩატარდა. სამუშაოების ღირებულებამ 15 600 ლარი შეადგინა;

სოფელ გეჯეთში, სამელიორეციო სამუშაოები, ღირებულებით 19 000 ლარი, 54 ჰა-ზე განხორციელდა;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში 60 ჰა-ზე ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ 26 000 ლარი შეადგინა.

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით 80 796 ლარი, ასევე გაიწმინდა 10 000 გრძივი მეტრი არხი, რომელიც 200 ჰა. ფართობს ემსახურება;

ზემო ჭალადიდში, ქვალონის საზღვართან, 6 000 გრძივი მეტრის არხის ამოწმენდითი სამუშაოები 40 924 ლარად განხორციელდა. არხი 160 ჰა. ფართობს მოემსახურება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 738 000 ლარი გამოიყო. პროგრამის ფარგლებში 64 პროექტი განხორციელდება. სამუშაოები მიმდინარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის 15 -ვე ადმინისტრაციულ ერთეულში.

ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად იხრეშება შიდა საუბნო გზები, იწმინდება სანიაღვრე არხები, ეწყობა გარე განათების სისტემა, ხიდ-ბოგირები, მგზავრთა მოსაცდელები, მინი სპორტული მოედნები, რეაბილიტირდება საბავშვო ბაღები და სხვ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები თხუთმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

2009 წლიდან მოქმედი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა", ორწლიანი პაუზის შემდეგ, 2019 წლის 1 იანვრიდან, განახლებული სახით აღდგა და დღემდე წარმატებით ხორციელდება.

გ ა ზ ი ფ ი ც ი რ ე ბ ა

მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, გაზიფიცირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

2021 წელს, აგვისტოს ჩათვლით, გაზსადენის ქსელზე დაერთდა 722 აბონენტი;

აქედან: ქალაქად - 326 ; სოფლად - 396.

ქალაქად გაზიფიცირდა: ნარმანიას ქუჩა ჩიხებით, შავი ზღვისა და ჩოლოყაშვილის ქუჩები შესახვევებით, ნაფეტვარიძის, კანკიას ქუჩები, მშვიდობის ქუჩის მონაკვეთები - ახალსოფლის შესახვევიდან რესტორან „სამეფომდე", ჩოლოყაშვილის ქუჩიდან ფიროსმანის ქუჩამდე;

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მშვიდობის ქუჩის მონაკვეთის გაზიფიცირება „სალომიოს"- №4 ბაგა-ბაღიდან რიონის ქუჩამდე;

იგეგმება ნაროუშვილის ქუჩის, მშვიდობის ქუჩის მონაკვეთის - რიონის ქუჩიდან სამხედრო ბაზის შესახვევამდე და ქუთაისის ქუჩის ბოლო მონაკვეთის გაზიფიცირება.

ქალაქის ქუჩების გაზიფიცირებაზე დაიხარჯა 98 620 ლარი;

მნიშვნელოვნად გაფართოვდა გაზმომარაგების ქსელი სოფლად;

დასრულდა მენჯისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზიფიცირების პროცესი. სამუშაოების ღირებულებამ 3 537 951 ლარი შეადგინა. ლეძაძამეში მოეწყო 54 868 მ. გაზსადენის მაგისტრალი;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებულია 37 137 მ სიგრძის მაგისტრალის მშენებლობა.

წყალმომარაგების პროექტები

რაც შეეხება, წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს პრობლემას:

მერიის მოთხოვნის შესაბამისად, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ამჟამად ქალაქად ახორციელებს ასათიანის, სტალინის, მშვიდობის, ცერცვაძის (ჩიხებით) ქუჩებზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას.

ახალი წყალმომარაგების ქსელი ეწყობა ვაჩნაძისა და ჯორჯაძის ქუჩებზე.

სენაკის ცალკეული ქუჩებისა და მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 2 424 885 ლარს შეადგენს.

ასევე მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სოფლების: გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, ძველი, ამორტიზებული მილები ახლით შეიცვლება, მოსახლეობა ინდივიდუალურად გამრიცხველიანდება.

სამუშაოების შედეგად, აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლები, დაახლოებით 1000-მდე ადამიანი, სტაბილური და ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება და მისი დასრულება მიმდინარე წლის ბოლოს არის დაგეგმილი.

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა

სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა და ფერმერებზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, დღემდე განხორციელდა, ხორციელდება და იგეგმება არაერთი ახალი პროექტი, რომლებმაც ფერმერებისთვის უკვე მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში ხორციელდება:

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა; აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა; შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამა; მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა; და სხვა პროგრამები.

თითოეული ითვალისწინებს სახელმწიფო თანადაფინანსების კომპონენტს.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოცვის კულტურა გაშენდა 58 ჰა-ზე;

ბენეფიციართა რაოდენობა -22

შესრულებული სამუშაოების საერაუდო ღირებულება - 870 000 ლარი;

ბოლო წლების მანძილზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოცვის პლანტაციამ 150 ჰა-მოიცვა;

თხილის პლანტაციები ჯამურად 180 ჰა-ზე გაშენდა;

შესრულებული სამუშაოების საერაუდო ღირებულება 540 000 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მიმდინარე წელს დამუშავებული და დათესილია 5 400 ჰა. სახნავ-სათესი მიწის ფართობი.

ტურისტული პოტენციალის განვითარება

სენაკის მუნიციპალიტეტი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია.

2020 წელს, ლეძაძამეს ადმინისტრაციულიერთეულის სოფელ ბეთლემში, პროექტის „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" ფარგლებში, ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი მოეწყო.

პროექტი განხორციელდა საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაეროს-განვითარებისპროგრამის (UNDP) - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FღLD) - ფაზა 2-ის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (შDჩ) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADჩ) ფინანსურიმ ხარდაჭერით.

ღირებულება - 80 000 ლარია, რომლის 25%-ს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს.

ყველა მსურველს ეძლევა შესაძლებლობა, გაერთოს სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით: „თოკების პარკით"; 130 მეტრი სიგრძის ზიპლაინით;

აქვეა ღია ბაზრობა - ადგილობრივი მეწარმეებისთვის პროდუქციის გაყიდვა-პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის; პარკირება/ავტოკემპინგის ზონა; ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა.

ტურიზმის სექტორით დაინტერესებულთათვის შეიქმნა ვებ და ფეისბუკ გვერდები: https://www.facebook.com/Senaki.tourism/; http://tourism.senaki.gov.ge/;

ჩატარდა ტრენინგები ტურიზმის სექტორში დაინტერესებული ადამიანებისათვის.

პროექტის დასრულების შემდეგ, მერია კვლავაც აგრძელებს ამ ტურისტული ობიექტის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

2021 წელს პროექტი „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით", NALAG საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (aTea) მიერ განხორციელებული ევროკავშირის ინიციატივის- N4ED ეფექტიანობის და განვითარების ქსელი - 2020 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) ერთ-ერთ გამარჯვებულ პროექტად დასახელდა.

წარმატებულად განხორციელებული პირველი პროექტის შემდეგ, 2021 წელს, U

- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის - ფაზა 2" პროექტის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ახორციელებს მიმდინარე, 230 000 ლარის ღირებულების პროექტს ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც ითვალისწინებს ბორანის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობას ტურისტული ინფრასტრუქტურით.

მოეწყობა ბორანამდე მისასვლელი 250 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზა გარე განათებებით, საპიკნიკე, საკემპინგე და სათევზაო ადგილები შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სანიტარული კვანძით.

2021 წელს, UNESCO-მ საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. მათ შორისაა კოლხეთის ეროვნული პარკი და ამ პარკის ზემო ჭალადიდის მონაკვეთი (3.8 ჰა), რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ზემო ჭალადიდში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა არის მნიშვნელოვანი დასაწყისი სამომავლოდ ამ ადგილის ტურისტული განვითარებისთვის.

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის მერია გახდა M4EG „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ქსელის წევრი, რომლის ახალი ეტაპის განმახორციელებელი 2021 წლიდან არის გაეროს განვითარების პროგრამა. ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის", რომელიც 48 თვის განმავლობაში განხორციელდება, დაეხმარება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივ ხელისუფლებებს გამოიყენონ ინოვაციური მიდგომები სამართლიანი და მწვანე განვითარების ხელშესაწყობად.

პროექტის მთავარი ამოცანაა რეგიონში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში კარგი მმართველობისა და გონივრული ფინანსური მენეჯმენტის პრინციპებზე მორგებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლებების დახმარების გზით.

შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად ჩაერთვება ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ ახალ ინიციატივებში.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია ასევე გააგრძელებს საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერას, სხვადასხვა დონორებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას.

ასევე დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მცირე და დიდი პროექტები (ტურისტული ბილიკები, საინფორმაციო დაფები, გადმოსახედი...), რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება.

სენაკის მუნიციპალიტეტში, ბოლო წლების მანძილზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, უპრეცენდენტო მასშტაბის პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება, რაც ტურისტული მიზიდულობის კუთხით, თვისობრივად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

2020 წლის ბოლოს, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარედ, განხორციელდა პარკინგისა და ასფალტირების სამუშაოები. შედეგად, განახლებული ინფრასტრუქტურითა და კეთილმოწყობილი პარკინგით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური სივრცე შეემატა.

რეაბილიტირდა მდინარე ტეხურის ხიდთან და „დედამოკას" თერმულ წყლებთან მისასვლელი გზა.

ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალს, 2020 წელს, ვიზიტორების მომსახურეობისთვის ახალი სერვისი შეემატა. სამუზეუმო სივრცის ვიზიტორებს ელექტროტრანსპორტი მოემსახურება. ელეტროტრანსპორტი მუზეუმ-ნაკრძალის დამატებითი ატრაქცია იქნება და ტურისტებს ტერიტორიაზე კომფორტულ გადაადგილებაში დაეხმარება.

ტურისტული თვალსაზრისით კიდევ ერთი მასშტაბური პროექტია სახოკიას ქუჩიდან ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლის - შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია.

ათეული წლების შემდეგ, პირველად, გაჩნდა განსაკუთრებული მდებარეობითა და არქიტექტურით გამორჩეული ძეგლის კომფორტული დალაშქვრის შესაძლებლობა. ამ ადგილიდან შთამბეჭდავი პანორამა იშლება - ჰორიზონტი, ქალაქის ულამაზესი ხედებით. პროექტის ფარგლებში, არსებულ მოედანზე ასევე მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი. აქვე მოეწყო გარეგანათების ქსელი.

რეაბილიტირდა საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზა. აქვე მოეწყო პარკინგისა და განათების სისტემა LED სანათებით;

ბალნეოლოგიურ კურორტ მენჯის სამომავლო აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, ხაზგასასმელია მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზის ასფალტირების მასშტაბური პროექტი, რომელიც სამი ათეული წლის შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს განხორციელდა. მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელ გზაზე, ასევე, LED ნათურებით, განათების ქსელის მოეწყო.

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საჩიქობავოს უბანში, დიდი ქართველი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმამდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი მოეწყო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია ასევე გეგმავს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმისთვის ოდის შეძენას, სადაც ახალი სამუზეუმო სივრცე მოეწყობა.

უახლოეს დღეებში ასევე დაიწყება ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის კომპლექსისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია;

სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრი

მიმდინარე წლის 22 ივლისს, სენაკის სავიზიტო ბარათი და კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრი საზეიმოდ გაიხსნა. თეატრის ახალი ერა, ოთხწლიანი ინტერვალის შემდეგ, თანამედროვე ფრანგი მწერლის, ერიკ ემანუელ შმიტის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის „სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე" ჩვენებით დაიწყო. ისტორიული თეატრი შეძლებს ღირსეულად უმასპინძლოს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს.

არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის პროექტით 1953-59 წლებში აშენებული ულამაზესი თეატრი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სენაკის კულტურული ცხოვრების ჭეშმარიტი კერა იყო.

იგი ყოველმხრივ რეაბილიტაციას საჭიროებდა, 2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი სენაკელების ერთ-ერთი უმთავრესი სატკივარის - თეატრის სრული რეაბილიტაციის დაწყება.

(გაგრძელება გვ 6)

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის 2018-2021 წლების ანგარიში

(გაგრძელება)

თეატრის რეკონსტრუქცია „ქართუ" ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

უპრეცედენტო მასშტაბის პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარამდეა.

ისტორიული შენობის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები, გამოიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციისა და სადრენაჟე სისტემები, სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა.

ჩატარდა ფუნდამენტისა და კედლების გამაგრებითი სამუშაოები, გარე ფასადისა და ინტერიერის სრული რეაბილიტაცია.

რესტავრაცია ჩაუტარდა და აღდგა კედლის უნიკალური მხატვრობა.

დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების გარე განათების, სასცენო განათებისა და აკუსტიკის სისტემები.

თეატრში მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები არასოდეს არ ჩატარებულა.

კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი - ნოქალაქევის „ციხე-გოჯის" რეაბილიტაცია გრძელდება

გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის, ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოებმა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ყველა სეგმენტი მოიცვა, რაც გვირაბის, რკინისხიდის, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სასახლეებისა და უნიკალური წყალსაცავის მოწესრიგებას და სრულ კონსერვაციას ითვალისწინებდა.

დასრულებულია ორმოცმოწამეთა ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ეტაპი.

IV საუკუნის ტაძარი სრულად გადაიხურა ავთენტური ფორმის კრამიტით, რომლის დიზაინის დადგენაც არქეულოგიური გათხრებისას გამოვლენილი უძველესი კრამიტის შედეგად გახდა შესაძლებელი.

მუზეუმ-ნაკრძალის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში სრულად რეაბილიტირდა და გამაგრდა მდინარის გაბიონები.

მოეწყო ავტოპარკინგის სივრცე. მოწესრიგდა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ინფრასტრუქტურული ნაწილი, მოეწყო სავალი ბილიკები, მისასვლელი გზები.

დასრულებულია ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ფერდობისა და ციტადელის პროექტირების სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, სადაც, ექსპოზიციის სახით, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილია არტეფაქტები გამოიფინება.

ახალ მუზეუმშივე განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიურ მისიებს მოემსახურება.

2016 წელს დაწყებულ კომპლექსურ სამუშაოებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა.

მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი 14 მილიონ ლარს გაიღებს.

განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა

მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება, განათლების სისტემის სრულყოფისთვის, განახლებული ინფრასტრუქტურა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან მომავალი, უპირობოდ, განათლებაშია.

კორონავირუსის პანდემიის ურთულეს პირობებში, დღეს, ჩვენი უმთავრესი მიზანია, მოსწავლე და პედაგოგი დაუბრუნდეს სკოლის კედლებს. ერთობლივი ძალისხმევით მივაღწიოთ ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებასა და სასწავლო პროცესის ჩვეულ რეჟიმში აღდგენას.

ბოლო ოთხი წელი გამორჩეული იყო სასკოლო ინფრასტრუქტული პროექტების განხორციელების კუთხით.

ახალი სასწავლო წელი ახალი სკოლის შენობის გახსნით დაიწყო ზემო ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 300 მოსწავლეზე გათვლილი, სათანადო ინვენტარით, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახებით და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ქალაქის N3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მინი სპორტული მოედნის, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის მინი სპორტული მოედნისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2019 წელს რეაბილიტირდა 8 საჯარო სკოლა - სენაკის III საჯარო სკოლის პირველი და მეორე კორპუსი, VII საჯარო სკოლა, თეკლათის, ლეძაძამეს, ნოსირის, მენჯის, გეჯეთის, ეკის საჯარო სკოლები.

10 წლის შემდეგ, სასწავლო პროცესი განახლდა სენაკის III საჯარო სკოლის მე-2 კორპუსში. მოსახლეობისთვის განსაკუთრებით საჭირო ეს პროექტი დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით განხორციელდა, კეთილმოეწყო და სათანადო ინვენტარით აღიჭურვა საკლასო ოთახები და სველი წერტილები. სკოლის რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება.

კოტიანეთელების წინაშე მდგარი პრობლემა სოფლის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეჩერება და მისი სრული რეაბილიტაციის საჭიროება იყო. მოსწავლეებს, ორი წლის მანძილზე, მეზობელი სოფლის საჯარო სკოლაში უწევდათ სიარული. ახლადრეაბილიტირებულმა კოტიანეთის საუკუნოვანმა საჯარო სკოლამ სასწავლო პროცესი ასევე სრული დატვირთვით განაახლა. სკოლაში სრულად რეაბილიტირდა საკლასო ოთახები, დერეფნები, სპორტული დარბაზი. კეთილმოეწყო წყალმომარაგების და გათბობის სისტემები.

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა;

სამუშაოების ღირებულებამ 529 257 ლარი შეადგინა.

ცენტრალური გათბობის სისტემით აღიჭურვა 8 საჯარო სკოლა;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება 21 სკოლის 212 პედაგოგის ტრანსპორტირების საფასური;

სასკოლო პროცესის სრულფასოვანი აღდგენისთანავე, ხორციელდება მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა;

ინკლუზიური განათლების პროგრამით, სარგებლობს ასობით მოსწავლე სარგებლობს; შშმ პირებისთვის ადაპტირებულია 12 საჯარო სკოლა;

მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ინტერნეტიზირებულია;

სენაკში აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინოვაციური ჰაბის მშენებლობა

ინოვაციების ცენტრი ერთ სივრცეში რამდენიმე კომპონენტს და სერვისს გააერთიანებს: სატრენინგო სივრცე; საერთო და სამუშაო სივრცე; შეხვედრებისა და კონფერენციების სივრცე; ფაბლაბი (Fabrication Laboratories – Fab Lab);

სტუდენტებს საშუალება ექნებათ ინოვაციური იდეები რეალურად განახორციელონ ფაბრიკაციის ლაბორატორიაში არსებული მაღალტექნოლოგიური აპარატურის გამოყენებით.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი შენობა სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტის ღირებულება 2 096 766 ლარს შეადგენს.

სკოლამდელი აღზრდა მომავალი თაობის განვითარებისა და განათლების საფუძველს ქმნის.

საბავშვო და ბაგა-ბაღებში საუკეთესო პირობების შექმნა ბავშვებისთვის არის დღევანდელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი.

ამის დასტურია, უპირველესად ის, რომ დღეს ბაღები უფასოა და ყველა ბავშვისთვის შეგვიძლია სკოლამდელი აღზრდის შეთავაზება.

ვაშენებთ და ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სააღმზრდელო კუთხით, რომ პატარები სათანადო გარემოში აღიზარდონ.

მიმდინარე წელს, სენაკში, ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული N5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე, ახალი ბაგა-ბაღი ავაშენეთ. შესრულებულმა სამუშაოებმა 710 000 ლარი შეადგინა.

ახალი სასწავლო წლიდან, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 60 აღსაზრდელს მოემსახურება.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

2018-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განვახორციელეთ:

აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 4 საბავშვო ბაღი;

გასულ წლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში :

სრულად გადაიხურა კოტიანეთის საბავშვო ბაღის შენობა, რეაბილიტირდა და შესაბამისი ინვენტარითა აღიჭურვა ძველი სენაკის პირველი და მეორე, უშაფათის, მენჯის საბავშვო ბაღების სამზარეულოები და სასაწყობო ოთახები;

იატაკები განახლდა უშაფათის, ძველი სენაკის, ნოქალაქევის, ნოსირის და მენჯის საბავშვო ბაღებში;

ეკი საბავშვო ბაღში კეთილმოეწყო აღსაზრდელთა საძინებელი ოთახი;

რეაბილიტირდაძველი სენაკის პირველი და თეკლათის საბავშვო-ბაღების სახურავები;

სააღმზრდელო ოთახებისსარემონტო სამუშაოები ჩატარდა ნოსირის, ძველი სენაკის პირველ და კოტიანეთის საბავშვო ბაღებში;

გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა ახალსოფლისა და თეკლათის საბავშვო ბაღებში;

კეთილმოეწყო მენჯის საბავშვო ბაღის ფასადი;

სველი წერტილები მოეწყო ხორშის საბავშვო ბაღში;

ეზოს შემოღობვითი სამუშაოები დასრულდა გეჯეთის საბავშვო ბაღში;

ადმინისტრაციული ერთეულების ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა;

ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა კოტიანეთის, ახალსოფლის, ლეძაძამეს, ქალაქის პირველ, მეორე და მეექვსე საბავშვო და ბაგა-ბაღებში;

2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებებში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 23 პროექტი განვახორციელეთ;

საბავშვო და ბაგა-ბაღებს შევუძინეთ 24 884 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საჭირო საყოფაცხოვრებო ინვენტარი .

2020 წელს პროექტის „ეკონომიკურ მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, საბავშვო ბაღ „ოცნების" რეაბილიტაცია განხორციელდა.

ჩატარდა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის გაფართოების, გადახურვის, სველი წერტილების, სააღმზრდელო ოთახების, საკონცერტო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბაღი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

დევნილ და ადგილობრივ პატარებს 60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოემსახურება.

პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭომ(DRC), საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელა.

ამავე პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს, მიმდინარეობს მეოთხე ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 4 073 214 ლარს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. დანიის ლტოლვილთა საბჭოს დაფინანსებით, მშვიდობის ქუჩაზე დასრულებულია 200 000 ევროს ღირებულების №4 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობა. საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

მალე, ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტში, წლის უპრეცედენტო მასშტაბის, უანალოგო პროექტი განხორციელდება. მუნიციპალიტეტს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღი შეემატება.

გამოცხადდა ტენდერი ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, მესამე საბავშვო ბაღის ასაშენებლად. მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი სააღმზრდელო დაწესებულება 100 აღსაზრდელს მოემსახურება. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

წლის უანალოგო პროექტის საგარაუდო ღირებულება 4 395 760 ლარს შეადგენს.

უპრეცედენტო მასშტაბის პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს. ასევე ვგეგმავთ N7 ბაგა-ბაღის მშენებლობას.

კულტურის ხელმისაწვდომობა

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში, როგორც მთელს ქვეყანაში, სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები შეზღუდულად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მასშტაბით, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, მიმდინარე წლის 22 ივლისს, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრის გახსნა.

22-24 ივლისს სენაკმა უმასპინძლა რეგიონული თეატრების მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც უკვე მეორე წელია სიმბოლურად, ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში, ღია ცის ქვეშ იხსნება. წელს, ფესტივალი, მესხეთის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლით „სტუმარ-მასპინძელი" გაიხსნა. 23-24 ივლისს კი ფესტივალი უკვე თეატრის შენობაში მასპინძლობდა სასცენო ხელოვნების მოყვარულ საზოგადოებას, რის შემდეგაც - ფოთში გადაინაცვლა.

25 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, სენაკში მეშვიდედ გაიმართა „ხელოვნების ფესტივალი 2021", რომლის ორგანიზატორია მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტი, ვალერიან შიუკაშვილი. ფესტივალი ტარდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და შედგება 2 ნაწილისაგან: საკონკურსო და საკონცერტო. საკონკურსო ნაწილში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა და გამოვლინდნენ ლაურეატები, საკონცერტო ნაწილში, რომელიც, ღია სივრცეში, 6 დღის განმავლობაში იმართებოდა, სენაკელებს და არა მხოლოდ მათ, საშუალება ჰქონდათ მოესმინათ ისეთი გამოჩენილი შემსრულებლებისთვის, მომღერლებისთვის და ჯგუფებისთვის, როგორებიცაა: ვალერიან შიუკაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, სოფო ხალვაში, მაია ბარათაშვილი, ჯგუფი თჰე Qუინტესსენცე. ფესტივალი საზეიმო ვითარებაში დაიხურა 6 ივლისს და მომავალ წლამდე დაემშვიდობა ერთგულ მსმენელს.

ნოქალაქევის ისტორიულ ციხე-ქალაქში, სენაკისა და ჩოხატაურის ვაჟთა ანსამბლების - „მუსიკელის" და „ამაღლების" მონაწილეობით, ფოლკლორის ფესტივალი „ხალხური საღამოები" გაიმართა. ფესტივალი ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იმართება.

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ამფითეატრში, რეგულაციების დაცვით, გაიმართა ლექცია-კონცერტი „კლასიკური მუსიკის კონცერტები ალტერნატიულ სივრცეებში საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში" თბილისის ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისა და კლასიკური მუსიკით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის.

ჩვენ, ტრადიციად დავამკვიდრეთ ერთჯერადი ფულადი წამახალისებელი ჯილდოების გადაცემა ჩვენი წარმატებული ახალგაზრდებისთვის.

ამ წელს, განათლებისა სფეროში, დაჯილდოვდნენ სენაკის ეტალონის გამარჯვებულები, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები - ზურაბ და ნიკოლოზ წირქვაძეები და კერძო სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე ლუკა ხარებავა . შემდგომ კი, ძალიან გაგვახარა ზურაბ წირქვაძემ, რომელიც, სენაკის სინამდვილეში პირველად „ეტალონ 2021" -ის გამარჯვებული გახდა და ჩვენგანაც ჯილდო მიიღო.

ასევე დავაჯილდოვეთ პირველი საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლეები - ნიკოლოზ კაჭარავა, ანი ბოკუჩავა, ანამარია კინტირაია, ანა და ალექსანდრე ნაჭყებიები, რომლებაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის - „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის - „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით", კონკურსში, პროექტით „ჩვენ ერთნი ვართ დედამიწაზე" და გამარჯვებულის ტიტული მოიპოვეს.

(გაგრძელება გვ 8)

სტუდენტობა - 2021

ღიმილის გოგო-ბიჭები

მიმდინარე წელს ეროვნული გამოცდები სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთმა ახალგაზრდამ წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. დიდია მოლოდინი, მათთვის ხომ ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება, უფრო საპასუხისმგებლო და ამაღლებული, ამავე დროს პერსპექტივებით და იმედებით აღსავსე.

გაზეთი ,,კოლხეთი" ულოცავს ყველა სტუდენტს ცხოვრების მოცემულ ეტაპზე ამ გამარჯვებას.

ნინო სალაყაია –კერძო სკოლა ,,მარიოტა", ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თავისუფალი მეცნიერებები

გიორგი ჩავლეიშვილი -კერძო სკოლა ,,მარიოტა", თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი.

ვერიკო სირია - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

ლიზი ხურცია -- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა .

ნიკოლოზ ზარქუა - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი.

ნიტა ვერულავა - კერძო სკოლა ,,მარიოტა"- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა

ნინო სირია - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დეა ჩიტაია -- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი

ანანო მილორავა - № 7 საჯარო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები.

მარიამ გოგია - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი

ნინო წულაია - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ანი თულაძე - კერძო სკოლა ,,მარიოტა" –შპს კავკასიის უნივერსიტეტი, პიარისა და კომუნიკაციის ფაკულტეტი

მარი ჟვანია - კერძო სკოლა ,,მარიოტა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო კირცხალია -სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა- შავი ზღვის უნივერსიტეტი, მარეკეტინგის ფაკულტეტი

სერგი თათარიშვილი -კერძო სკოლა ,,მარიოტა", ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საზღვაო ნავიგაციის ინგლისურენოვანი ფაკულტეტი

გვანცა ჩიქოვანი -- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მენეჯმენტის პროგრამა

ალექსი ტყებუჩავა - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერება

ლუკა ხარბედია - კერძო სკოლა ,,მარიოტა", შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, შენობის სისტემების ინჟინერია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის 2018-2021 წლების ანგარიში

(დასასრული)

ასევე, 19 სენაკელ კურსდამთავრებულს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე 100 და 70%-იანი გრანტები მოიპოვეს, ერთჯერადი ფულადი ჯილდოები გადავეცით.

სპორტის ხელშეწყობა და ჯანსაღი წესის დამკვიდრება

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

დღეს, კორონავირუსის პანდემიის გლობალური გამოწვევების ეპოქაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციისა და ამ კუთხით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესს.

მუნიციპალიტეტში, ბოლო წლებში, უმნიშვნელოვანესი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს და იგეგმება.

მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 მინი სტადიონს: ჭავჭავაძის N35 კორპუსის მიმდებარედ, რუსთაველის N126 კორპუსის მიმდებარედ, სამუშაოები სრულდება სანაიას ქუჩაზე, აღმაშენებლის ქუჩაზე საკირესთან და შხეფი სტალინის ქუჩის მიმდებარედ. პროექტის საერთო ღირებულება 211 664 ლარს შეადგენს.

ასევე, მიმდინარეობს სასპორტო სკოლის სპორტული დარბაზისა და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს ქალაქ სენაკის N3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მინი სპორტული მოედნის, ზანის საჯარო სკოლის მინი სპორტული მოედნისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

პროექტის ღირებულება 126 752 ლარს შეადგენს.

იწყება სანაიას ქუჩაზე არსებული სტადიონის, ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხებით - სავარაუდო ღირებულებით - 210 717 ლარი;

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტში მოეწყო 6 მინი-სპორული მოედანი:

2019 წელს რეაბილიტირდა ჭყონდიდელის ქუჩაზე, მექანიკურის დასახლებაში, მეშვიდე საჯარო სკოლისა და ჟიული შარტავას სახელობის პარკში მდებარე მინი-სპორტული მოედნები;

2020 წელს დასრულდა ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებასა და მშვიდობის ქუჩის N223-ში მდებარე სპორტული მოედნების მშენებლობა.

აშენდა 2 საკალათბურთო მოედანი:

მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „გალფის'' ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობა;

2020 წელს, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, მოეწყო კალათბურთის მოედანი.

ასევე, რეაბილიტირდა, ბუნებრივი აირით და გათბობის სისტემით უზრუნველყოფილ იქნა სენაკის სასპორტო სკოლა, ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დარბაზები; კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები; სენაკის ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2021 წელი პანდემიიდან გამომდინარე, სპორტული ღონისძიებები შეზღუდულად მიმდინარეობდა. თუმცა, სენაკელმა პორტსმენებმა, მიმდინარე წელს დიდი წარმატებები მოიპოვეს საერთაშორისო და რესპუბლიკურ ასპარეზობებზე. მათ, მერიისან წამახალისებელი ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, ის ფაქტი, რომ ჭაბუკთა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონმა, ახალგაზრდა სპორტსმენთა შორის საქართველოს ერთგზის ჩემპიონმა, მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ევროპის ორგზის პრიზიორმა, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელმა, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, გიორგი ჩხიკვაძემ, ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ჰიმნი მესამედ ააჟღერა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ასევე, მიმდინარე წლის 22 აგვისტოს, უფაში, ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,გიორგი ვიცე-ჩემპიონი გახდა. გიორგი ჩხიკვაძეს და მის წარმატებულ მეგობრებს ფულადი ჯილდოები გადავეცით. წარმატებებისთვის ფულადი ჯილდოები ასევე გადაეცათ:

საქართველოს ჩემპიონს და ევროპის მე-3 ადგილოსანს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - ლუკა ოჩიგავას; საქართველოს ჩემპიონს კარატეში კადეტთა შორის - კესო ტყეებუჩავას; საქართველოს ჩემპიონატში მე-2 ადგილოსანს მოსწავლე მოკრივეთა შორის -ნიკოლოზ ძაძამიას; საქართველოს ჩემპიონატში მე-2 ადგილოსანს ჭიდაობა ძიუდოში გოგონათა შორის -ნინო ხუნჯუას;საქართველოს ჩემპიონატში მე-3 ადგილოსანს ჭაბუკ მოკრივეთა შორის - ლუკა წულეისკირს; მე-3ადგილოსანს მოსწავლე მოკრივეთა შორის - დიმა ჭაავას; მე-3 ადგილოსანს ჭაბუკ სამბისტთა შორის - ნიკა ჩიტაიას; კარატეში კადეტთა შორის გამარჯვებულ - ლუკა ნოდიას; ძიუდოში გოგონათა შორის - სალომე სოლომონიას და დიანა ჭაავას: საქართველოს ჩემპიონატში მე-3 ადგილოსანს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის - გიორგი ჭაავას;

დასახელებულ სპორტსმენთა მწვრთნელ-მასწავლებლებს - ამირან დავითაიას, ელგუჯა ჩემიას, ელგუჯა გვასალიას, რამაზ კოკაიას, გიორგი კილასონიას, გელა ხარბედიას, უჩა ჯღარკავას და ილია ცაავას: ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ჩემპიონს და მე-3 ადგილოსანს ამირან დავითაიას.

ჩავატარეთ მოყვარულთა ლიგის მუნიციპალური ეტაპი ფეხბურთში და გამოვავლინეთ და დავასაჩუქრეთ გამარჯვებული გუნდი. მათთვის შევიძინეთ ეკიპირება და უზრუნველვყავით ტრანსპორტირებით რეგიონალური ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. ასევე ჩავატარეთ ჩემპიონატი ბაგირის გადაძალვაში მოსწავლეთა შორის. გამარჯვებული სექტემბრის ბოლოს, თბილისში, რესპუბლიკურ ტურნირზე გაემგზავრება.

გაგრძელდება მნიშვნელოვანი პროექტები

ჩვენს მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ყველა პროექტი ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზეა გათვლილი და მორგებული.

ჩვენი საქმიანობის უცვლელი ორიენტირი და უმთავრესი ღირებულება იყო და იქნება ადამიანი. ვითვალისწინებთ თითოეული მოქალაქის ინტერესებს და მათი მონაწილეობით, მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, გამჭვირვალედ წარვმართავთ თვითმმართველობის საქმიანობის ყველა სექტორს.

თვითმმართველობისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება:

დარჩენილი გზების რეაბილიტაცია;

დაიწყება იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; დასრულდება ცენტრალური პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები; გაზიფიცირების სამუშაოები; სანიაღვრე არხების მოწესრიგება; გარეგანათების სისტემის მოწესრიგება; ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და შეიქმნება მასთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, გაგრძელდება ახალი პროექტები; სპორტული მოედნების მოწყობა; მუნიციპალიტეტის დასუფთავების შესაძლებლობების გაზრდა; საირიგაციო და დამშრობი არხების მოწყობა; სოფლის მეურნეობის ტრადიციული და ახალი დარგების განვითარება; მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებით, სოციალური და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა; გაგრძელდება სენაკის სამშობიარო სახლის რეაბილიტაციის პროცესი; საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროექტები; ინოვაციური ჰაბის მშენებლობა, რომელიც ახალგაზრდებში მეცნიერულ-ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს;

დასრულდება N4 და დაიწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი N3 და N7 ბაგა-ბაღების ახალი კორპუსების სამშენებლო სამუშაოები;

ზემო-ჭალადიდში მოეწყობა ბორანამდე მისასვლელი საავტომობილო გზა გარე განათებით, საპიკნიკე, საკემპინგე და სათევზაო ადგილები შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სანიტარული კვანძით.

ამ და სხვა პროექტების განხორციელება გაგრძელდება სენაკისა და სენაკელების საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნის მეტი წინსვლისა და განვითარებისთვის.

სპორტი
წარმატებული ტურნირი

2021 წლის 27 სექტემბერიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით თურქეთში, გაიმართა ვეტერან სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირი „ანტალია – 2021" მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 26 ქვეყნის სხვადასხვა ასაკის 300 - მდე სპორტსმენი.

სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის, მწვრთნელ-მასწავლებელმა კობა ჩხიკვაძემ წარმატებით იასპარეზა და საპატიო მეორე ადგილი დაიკავა უმაღლეს ლიგაში.(50-59 წ.წ).

ვულოცავთ ვეტერან სპორტსმენს ღირსეულ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

„კოლხეთი"

სენაკის „საინფორმაციო ცენტრი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ვახტანგ კიტიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სენაკის „საინფორმაციო ცენტრის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ სულიკო ღვინჯილიას მეუღლის და შვილის

გურამ და სულხან იზორიების

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ლამარა გეგენავა

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ლამარა გეგენავა. ქალბატონი ლამარას შრომითი ბიოგრაფია 64 წელს ითვლის. ის ათწლეულების მანძილზე იყო №7 საჯარო სკოლის დირექტორი. საქართველოს განათლების სამინისტროს დადგენილებით დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით – „სახალხო განათლების წარჩინებული". 1978-87 და 1990 წლებში საქართველოს განათლების სამინისტრომ უფროსი მასწავლებლისა და ორჯერ მასწავლებელ-მეთოდისტის წოდებები მიანიჭა. 1997 წელს კი მიიღო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება. ლამარა გეგენავა იყო სენაკის საპატიო მოქალაქე.

ის 1987 წელს საქართველოს მასწავლებელთა VI ყრილობის დელეგატად აირჩიეს, 2014 წელს კი „რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდება" მიენიჭა.. მისი ინიციატივით სენაკის მე-7 საჯარო სკოლაში შეიქმნა ისტორიის კეთილმოწყობილი კაბინეტი.

ქალბატონი ლამარა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა რაიონულ მეთოდურ გაერთიანებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დამწყები პედაგოგების საქმიანობას. ის გახლდათ მრავალი თაობის აღმზრდელი, არაერთი კეთილი საქმის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი. ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდის ნიჭსა და უნარს მისცა შესაფერისი მიმართულება.

იყო კარგი ოჯახის დისახლისი, მზრუნველი დედა, მოსიყვარულე ბებია, ნათესავთა და ახლობელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

ქალბატონი ლამარა იყო გაზეთ „კოლხეთის" გულშემატკივარი და აქტიურად თანამშრომლობდა მასთან.

სენაკის საზოგადოებამ გულისტკივილით გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე. ნათელი მის სულს.

„კოლხეთელები"

დაბადების დღეს გილოცავ მამა!

ოთხი გრძელი და ტკივილით სავსე, უშენობით ფერდაკარგული წელიწადია, რაც უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს.

რომ ვთქვა მახსოვხართქო მოვიტყუები, მაგრამ მუდამ ვგრძნობ, რომ რაღაც მაკლია, ძალიან ძვირფასი და ეს შემოდგომაც უშენოდ, მარტოდმარტო მიტოვებული ბიჭის შემოდგომაა.

დღეს ის დღეა, უშენობა რომ განსაკუთრებულად მატყვია, ის დღეა შენს გარდა ვერაფერზე რომ ვერ ვფიქრობ. ნეტავ შემეძლოს ერთხელ მაინც ჩაგეხუტო.

მა, ვერ ვიტან უშენოდ დამდგარ შემოდგომას, დღეებს, თვეებს, წელიწადებს.... შენს წართმევას შემოდგომას ვაბრალებ, მაგრამ განა, მისი რა ბრალია ჩვენ სიშორე?!...

იცი? ყველა კაცში შენ გეძებ, თითქოს შეიძლება სადმე შემხვდე და შენი არარსებობით გამოწვეული სულის ტკივილი სხვის სახეზე, ხელებზე, მხრებზე შენი პოვნის სურვილით მოვიკლა. ყველა მოხუცში წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ასეთი შეიძლება ყოფილიყავი, რომ ასე დაიღარებოდა შენი ლამაზი ხელები, რომ ცხოვრება თავის კვალს აუცილებლად დატოვებდა შენს სახეზე, რომ ნაოჭებს დავითვლიდი შენი ნატანჯი თვალების ირგვლივ.

გეფიცები, შენ რომ გაგიხარდებოდა და იამაყებდი, ისეთი ბიჭი გავიზრდები, კარგად ვისწავლი, დედას არასოდეს გულს არ ვატკენ და ვეცდები უშენობით გამოწვეული ტკივილი შევუმსუბუქო.

მუდამ იქნები ჩემს გულში, მარად ახალგაზრდა მამიკო.

იძინე მშვიდად, ჩვენ კი ვილოცებთ შენი სულის უკვდავებისთვის.

გაბრიელ ინალიშვილი

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499